

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მღვწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тип. Моск. Въ редакцію газ. „Правда“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლი-სა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფრთხილი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში.

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-წიროს და შეაშოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდალი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაუხრათ

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 20 ივნისს. მაზ. „ბოლოსს“
სწერენ ბერლინიდან: რუმინის შესახებ საქმეები, რომელზედაც კონგრესზე უნდა მოელაპარაკნათ, უმთავრესად წინ-ღონე ყოფილან გარკვეულნი. ბუშინ-დელს, 19 ივნისის, სხდომაზე კონგრესს გადაუწყვეტია, რომ რუმინიამ რუსეთს ბესარაბია უნდა დაუთმოს.

ბერლინიში მოვიდნენ დელეგატებათ რუმინის მინისტრები. როდესაც ისინი მოვიდნენ კონგრესზე, კონგრესის ზალის კარებში მათ მოეგება მარჩაკოვი და ორთავეს ხელი ჩამოართვა. მემორანდუმის განსამარტებლად პოგალნი-ჩანუმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, პონ-გრესის კრებაში.

ამ ნაირად ახლა რუმინია იძულებულია დაემორჩილოს პონგრესის გარდაწყვეტილებას და ბესარაბია უნდა გასცვალოს დაბრუჯუხედ.

ათინა, 19 ივნისს. ინგლისის სამხედრო ხომალდებმა, რომელნიც პრიტის კუნძულთან დადიან, შემდეგი ამბავი მოიტანეს სირაში: მსმალებმა სროლა დაუწყეს მანდიის კუნძულის აჯანყებულებს. ჯერაც არ გათავებულა ბრძოლა.

ბერლინი, 19 ივნისს. დღეს პონგრესმა რუმინის წარმომადგენლების—ბრატანოსა და პოგალნიჩანოს სიტყვა მოისმინა. პოგალნიჩანუმ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც გამოხატა რუმინის მოთხოვნილება. ამბობენ, რომ ბესარაბიის შესახებ რუმინია მაინც-დამაინც წინააღმდეგობას არ გასწევს, რადგან რუსეთი დაბრუჯუს დაუთმობს მაგიერ თაო. ამას გარდა რუმინისათნ იქნება ს. სხვ. ღვრების თაობაზედ მოლაპარაკება.

პეტერბურლის ბირჟა, 21 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის	—	97	—
მეორესი	—	96	— 25
მესამესი	—	96	— 12
მეოთხესი	—	96	—
აღმოსავლეთის	—	95	—
რქრო, 1/2 იმპერიალი	—	7	— 93
თფილ. თავად-ან. ბანკის გირაოს ფურცელი	—	—	—
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:			
		მან.	პაპ.
პირველი სესხის	—	240	—
მეორე სესხის	—	236	— 25
1 მანეთი ღირს:			
ლონდონი	—	24	— პენსი
ამსტერდამი	—	126	— 50 ცენტი
ჰამბურგი	—	212	— 50 შფენიგი
პარიჟი	—	261	— 25 სანტიმი

საქართველო

ღიუბი

*** ჩვენ შევითვით, რომ თფილისში აღმოჩენილა რამდენიმე პირი, რომელთაც განზრახვა აქვთ, რომ სომხურისა და ქართულის სცენის საქმე ცოტაც არის ფეხზე დააყენონ. ამ განზრახვის მისაღწევნელად ხსენებული პირები, როგორც გვითხრეს, ცალკე საზოგადოების შედგენას აპირებენ, უნდათ დაიქირაონ არწრუნის ქარვასლაში ერთი დიდი ზალა, გამართონ იქ სცენა და დაიწყონ ქართულ-სომხური წარმოდგენაები.

რალა თქმა უნდა, რომ ჩვენ ყოველ წარმატებასა და ხანგრძლივ ენერგიას ვინატრით ამ ახლად დასაარსებელ საზოგადოებისათვის.

*** ჩვენ მოვიყვანეთ ამას წინათ გაზეთის „მავკაზიდან“ ოფიციალური ანგარიში სომხუმის მაზრის მცხოვრებთა რიცხვისა—მსმალეთში გარდასახლებულენისა ამ უკანასკნელ ომიანობის დროს და სომხუმში დარჩენილებისა.

ახლა ეს გაზეთი გვაცნობებს, რომ

იმ მოყვანილს რიცხვებში შეცდომა შეგვებარაო: სომხუმის მაზრიდამ ომიანობის დროს სულ 31,964 სული გარდასახლდა და 43,735 სული კი ისევ თავის ქვეყანაში დარჩაო.

** შემოხსენებულსავე გაზეთში იწერებინან, რომ ამ ქამად ჩვენს ქალაქში იმყოფება დეპუტაცია შევიცარიიდან გადმოსახლებულის ორასის ოჯახისა, რომელნიც თხოულობენო, რომ ჩვენს ქვეყანაში დასახლების ნებართვა მიეცესთო. ის 200 კომლი ამ ქამად მოადიკავკაზში არიან თურმე გაჩერებულნი; იმათი უმთავრესა განზრახვა ის არისო, რომ ყველის კეთება და ღვინოს მოყვანა დაიწყონ ჩვენს ქვეყანაშიო.

** ჩვენ მოგვივიდა ახლად-გამოსული რვეული ძავკასიის მეოგრაფიულ საზოგადოების ჟურნალისა, რომელშიაც, სხვათა შორის შემდეგი საინტერესო სტატიებია დაბეჭდილი: დიდესტნის ენების გამოკვლევა—ლ. პ. ზ—სკისა,—შენიშნვა უფ. აღ. საგარელის გამოკვლევებზედ,—სომხუმის მაზრის მცხოვრებთა რიცხვი,—მტროგრაფიული ცნობები არწრუმის ვილაიეტისა და ლაზისტანის სანჯაყის მცხოვრებთა შესახებ და სხვ.

** ბუშინ, სამშაბათს ღამეს, ერთის მკვრელის, საკალოვის მალაზიაში მეზობლის (მეწლის) კელიდამ შეცვივდნენ ქურდები. მ. ღაზიის პატრონმა მალე გაიგო ქურდების თავს დასხმა, წამოდგა და წინააღმდეგობა გაუწია. ავაზაკებმა, როგორც შეგვატყობინეს, სამ ადგილას დასჭრეს ის ხანჯლით, თავში, მკლავზე და ზურგში; იმის მალაზიის პოლი, ლოგინი იმისი და სხვა სულ-ერთიანად გასერილი იყო მეორე დღეს სისხლით. ამბობენ კია, რომ მალაზიიდან ვერაფრის გატანა ვერ მოასწრეს ავაზაკებმა.

** ჩვენ შევითვით, რომ იმ უწყისობის გამოსაძიებლად, რომელიც ამ ივნისის 5-ს მოხდა შიზიყში, თფილისიდან გაგზავნილია ტაინი სოვეტნიკი სტარიცკა.

სრული იმედი გვაქვს, რომ უფ. სტა-

რიცხვით უზრუნველდება მიაქცევს როგორც იმ უბედურ შემთხვევას, რომელიც 5 ივნისს მოხდა სოფ. ბაკურციხეში, და განსაკუთრებით იმ მიზეზებს, რომელთაც ასე გააბრაზეს ხალხი, რომ თითქო იძულებული შეიქნენ ამისთანა მხეცური საქმე ჩაუდინათ.

****** ღილის სიამოვნებით ვაცხადებთ ჩვენ, რომ ღენ-მაიორს თ. სოსიკო მრბელიანს, რომელსაც ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს შიზიყში, სრულებით ისეთის თვალთ არ შეგუხნდნია ამ საქმისათვის, როგორც ზოგიერთებმა შეხედეს, ჩვენ დაგვიწმუნეს, რომ თ. სოსიკო მრბელიანი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა იმ არეულობის დროსაც, რომ თოფი არ გაუარდნილიყო, ან საზოგადოთ იარაღი არაფის ეხმარა თვითონ ამის დასაცულებათა.

და ახლაც, როდესაც ამ საქმის გამოძიებას შეუდგნენ, თ. სოსიკო მრბელიანი ცდილობს თურმე, რომ ამ შემთხვევას როგორც უბრალო, უმეცარი ხალხის შეცდომას, ისე შეხედონ და დიდი რამ სასჯელი არ მიაყენონ შიზიყის ხალხს, რცმელსაც კანონი მათ უქადის რომელიც უიმისოთაც ასე შეწუხებულია ამდენი წლის შიმშილობისა და ვაჭრებისაგან.

ძალიან კატაოლსანი, გულ-კეთილი და ჩინებული გრძობის პატრონი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ამ გვარს რჩევას იძლევა და ასე მშვიდობიანად, კაცთ-მოყვარულად ცდილობს იმ ხალხის ბატონებასა და დაცვას, რომლისაგანაც ისეთი შეურაცხყოფა მიიღო.

****** მათ ვილაყა ვაჭარს ორშაბათ საღამოს დასძინებოდა ალექსანდროვის ბაღში, ხის ძირში; მოსულიყენენ ჯიბის ოსტატები და ისე აფროთ საათი და ვერცხლის ქაშარი, რომ მძინარეს ვერა შეეცყო-რა. მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ იმ დროს ამ კაცის გაცარცვისათვის ვილაყ ორ ქალაქელს უყურაბდა და, წასულან თუ არა ჯიბის ოსტატები, გამოუღვიძნიათ ვაჭარი და უთქვამთ, რომ ვილაყა ბიჭებმა საათი და ქაშარი შეგაჭრესო, მაჭარს ღრიალი და უწყვიდა; ხალხი მოგროვილა და ის ორი ქალაქელი კაცი პოლიციაში წაუყვანიათ.

****** ამალღების ქუჩის (სოლოლაკზე) მცხოვრები სივიან, რომ ხიდიდამ დაწყებული ქალაქის მიქნამდინ სულ სამი ფარანი იყოფო და ახლა ქალაქის განკარგულებით, ისიც ამოიღეს და წაიღესო. ეს ფარნები განსაკუთრებით ახლა უფრო საჭირო იყოფო, რადგან გასულ

ნიღღრისაგან ეს ქუჩა ისეთ ნაირად არის წანდენილი, რომ კისერ-მოუტეხელად ადამიანი ღამე ვერ გაივლისო.

„დროშის“ კორპუსონდენცია

ახალქალაქი, 18 ივნის. ამ თვის 15 ში ბორის სამმართველოს ჩინონიკმა, უფ. ბერაპაძემ 110 ურემი გაატარა ალექსანდროპოლში ჩასაბარებლათ. ეს ურემები ყუვარი ხარით სულ ბორის მახრაში არიან მოკრფეული, და ოთხი თვის ვადით იქნებიან ინტენდანსტოვს განკარგულებაში. ჯამაგირები რამდენი ექნებათ ჯერ არ ვიცით. შევლა მხრიდგან პორცის უქონელობაზე ჩივიან; ჩვენ თუმცა ძვირათ, მაგრამ ყოველთვის საქმაოთ გვაქვს. ამ ქვამდ აქ გირვანქა 11 კაპ. ისე იდება. ეს ფასი ხორცზე ვის გაუგონია ახალქალაქში, მაგრამ არც კია გასაკვირველი თუ რომ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წინეთ რომ აქედან მიირეკებოდნენ საკლავ-საქონელს, ცხლა აქ საკლავ საქონლის საზოგადოარი სრულეებით გაწყვეტილია; რაც ჭირმა გასწყვიტა, გასწყვიტა რაცარა და ჯარს ვერ აუღდა. ამ ქვამდ მლაღიკაეკაზიზდგან მოუღით ჩოდრებს აქეთქენ საკლავი საქონელი.

მოსავლის პირი კარგი სიხანს; მაგრამ, თუ წვიმებმა ცოტაც არ იკლეს, სრულეებით დაღებო ყოველიფერი. პური ამ ქვამდ სომარი 25 მანეთად ფასობს, ქერი სომარი 16 მან., ფქვილი 1 მ. 40 კ. თივა 40-50 კაპ. მაგრამ, თუ მართალი გამოდგა, რომ ახალქალაქში დივიზიონის ბანაკი უნდა გამართონო, ზოგი მაშინ ნახეთ, როგორ აიწიოს ფასებში.

მრთი ახალ ამბავთაგანი ის არის კიდევ, რომ არდაგანიდგან მლთისისამდე ტელეგრაფს მმართველენ ასე, რომ ამ ახალ ქვეყნებში ჩქარა ტელეგრაფის მართულები აბლაბუდასაებ გაეშვებიან.

ხინებულ ახალ ქვეყნებისკენ აქაურმა და ახალციხელმა ხალხმა ძალიან მოიწონეს; ვისაც ათი თუმნის ვაჭრობა არა ჰქონდა, ცხლა შარსისა და არტანისკენ ათას თუმნობით აღებ-მიცემობა აქესთ ასე გასინჯეთ ახალქალაქის სამმართველოში ერთი მწერალი აღარ დარჩა; ვინც აქ უპრავლენიაში ან სულში მუქათათ მსახურებდა, ან თვეში სამ მანეთს ჯამაგირს იღებდა, ცხლა შარსით ხუხუთი თუმანი აქესთ.

მრთის სიტყვით, ვისაც თვალი აუხელია, ყველანი ახალ ქვეყნებისკენ ბედის საქმენელად მიიწვიენ; ბევრმა ფეხშიშვილ მიკიტანმა ჩააწყო მნაკში 60,000 მანეთობით.

წმირლი რედაქტორთან
უფალ რედაქტორო!

თქვენის პატივცემულის გაზეთის ამ წლის მე-112 №-ში არის დაქვდილი კორრესპონდენცია რაჭიდამ, რომლის ავტორი ატყობინებს მკითხველ საზოგადოებას, რომ ვითომც ჩემს კანტორაში დაწერილიყოს ვექალი 3,000 მანეთის, ავტორის უნცროსის შეილის სახელზედ და რომ ამ ვექსილზე, როგორც დაწერილზე რუსულსენაზე, მოტყუებით მომეწერინებინოს მისთვის ხელი და შემდგომ დამოწმებისა გარდამეცეს მისის შეილისათვის. მაგრამ ის, რომ ავტორი კორრესპონდენციისა მოხუცად უწოდებს თავის თავს, თორემ მისი ბრალდების წაკითხვა იმოდენად იმოქმედებდა ჩემზე, რომ არას გზით არ დავსთმობდი და აღუდგენდი საჩივარსა ავტორის დაჯის შესახებ ამ გვარის ბოროტ-მოქმედებს შეწამებისათვის.

ღრმა მოხუცებულებას იმოდენი გავიგონა აქეს კაცის მეხსიერებაზე, რომ წრეს გადასული, რასაც სიხმარში ნახავს, ცხადადაც ის ეჩვენება. ცხადა, აღნიშნული კორრესპონდენციის ავტორიც ერთობ მოხუცებული ყოფილა და მის გამო არ გვიგება — რას ბოდავს.

ჩემს კანტორაში, დღიდამ ჩემის ნატარიუ აღ დანიშნვისა, არავითარი ვექსილი არ შემდგარა მამისგან შეილის სახელზედ; არც მე ვარ იმოდენათ უგუხური, რომ ის არ ვიცოდე, თუ რასასჯელს ექვემდებარება კაცი ყალბის საბუთის შედგენისათვის და ნამეტნავ ნოტარიუსი.

ამ პასუხის მიცემაზე ავტორისადმი მე მაიძულებს ის გარემოება, რომ ის სწერს დასარულში თავის კორრესპონდენციისა, რომ „საქმის დაწყება არ მსურსო“, — თორემ მართლდაც არ ღარდა მე-თქვას რამე ამაზე, რადგან ამ შეწამებულს ჩემდამი ბოროტების უმსგავსებაში უამისოდაც ყველა დარწმუნდებოდა.

ძალიან კარგს ინებებს ავტორი კორრესპონდენციისა, რომ კანონიერის გზით შეუღებოდნენ გამოაშკარებას იმისას, რაც მას სიხმრებია, თუ ნათლად უნახავს. მაშინ ენახავთ — ეინ, ჩვენ ორთაგანი, მე თუ ის, დავრჩებით ხალხის თვალში ბოროტის-მომქმედი.

ბთხოვთ, უ. რედაქტორო, მისკეთ აღგილი თქვენს გაზეთში ამ შენიშნვას.

რაჭის ნატარიუსი
სპირიდონ დვალი

რუსის ამბავი

რუსის ამბავი

მახეთის „მოლოდის“ სიტყვით, ამ ომიანობის განკვეთლობაში, ანუ უკეთ შარშანდელი წლის 1 აპრილიდან ამ ამ წლის 1 თებერვლამდინ ქვეყანისარ- მიაში სულ 13,780 კაცი არის დახოცი- ლი; ამ რიცხვიდან ომში მოუკლავთ— 2,579 კაცი, დაჭრილობისაგან მომკვდა- რა—1330 და სხვა-და-სხვა ავთამყოფო- ბისაგან—9,871 კაცი.

რალა თქმა უნდა, რომ ეს რიცხვი ნამ- დვილი არ უნდა იყოს. მთავრალურად გამოცხადებულის ანგარიშიდან ვიცით, სხვათა შორის, რომ 3,000 კაცამდინ მარტო შახის ძართან დახოცა შარშან 11 ივლისსა და წელს 18 იანვარს.

„მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდი- ლია შვალდესი ბრძანება, რომლის ძა- ლითაც არმიანში გაიგზავნებინან ყველა ფერშოლები (რომელთაც ფერშოლების ეგზამენი არ დაუჭერიათ) და აგრეთვე მედია-ხირურგების აკადემიის მეოთხე და მესამე კურსის სტუდენტები, რომელნიც კი თავის ნებით ამ კანიკულებ- ბის დროს მოისურვებენ არმიანში წასე- ლასა. მითო სტუდენტს თვეში 75 მან- ვთი ჯამაგირა მიეცემა და ამას გარდა გზის ხარჯი 150 მანეთი.

სტამბოლელი კორრესპონდენტი ფრან- ცუზული გაზეთის „Temps“-ისა იწერე- ბა, რომ დღე არ გაივლის ისეო, რომ ოსმალეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან ახალ-ახალი ჯარები არ მოვიდნენ და ზოგან კი აქედამ გზავნიან ჯარსაო. მუ- დამ დღე წრთენიან, ავარჯიშებენ ჯა- რებს, თოფ-იარაღს ურიგებენ, ქარხანებ- ში ტყვია-წამალსა და ზარბაზნებს ამზა- დებენო და სხე.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, არზრუმიდამ მისულა იქ ამბავი, რომ მარზინგანში დაყენებული იზმაილ-ფაშის არმია ახალს წესზე გაუმართავეთ და ამ არმიას კიდევ ახალი ჯარები შეჰმატებია.

კონგრესი

უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ოსმალეთის წარმომადგენელი მონგრესზე ძალიან ეშმაკობითა და გაი- ძვერობით მოქმედობენო; იმათ უნდათო, რომ კონგრესმა დიდ ხანს გასტანოს და ვერა გარვიგოს-რაო, და ამის გამო ყო- ველთვის, როდესაც იმათ, რომლისამე საგნის შესახებ, თავიანთ ჰაზრის გამო- თქმას სთხოვენ, ისინი აცხადებენო, რომ ჩვენ არ შეგვიძლიანო ამაზე გადაწყვე- ტილი რამე ვსთქვათო, სტამბოლში უნ- და მივიწეროთ და იქიდან მიღებულის პასუხის და-გეარად უნდა მოვიქცეთო.

„Indép. Belge“-ის ბერლინელი კორ- რესპონდენტი გვარწმუნებს, მე ველაა- რავე ერთს აქაურ წარჩინებულ ოსმა- ლოსაო და იმან მითხრაო, რომ ოსმა- ლეთს რუსეთთან ხელ-მეორედ ომის დაწყების სრულიად არ ეშინიანო, რად- გან, ამ ჟამად ჩვენ კარგათ მომზადებუ- ლი ვართ ომისთვისაო და ამას გარდა, სხვა თუ არა, რუშინია მაინც უეჭველად ჩვენს მხარეს დაიჭერსო.

რუსულ გაზეთს „ახალ ღროებაში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 13 იენის ბერლინიდან გამოგზავნილი:

„მონგრესი მუდამ დღე იკრიბება. ნამდვილად კაცმა არ იცის ჯერ—რა შედეგი აქვს იმათ მოლაპარაკებას. მ. ბორჩაკოვი ავთამყოფობის გამო, არ ესწრება მონგრესის სხდომებზე.“

„ამბობენ, ვითომც ინგლისმა მოით- ხოვაო, რომ მორიგების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში გაიყვანოს რუსეთ- მა ბოლგარიიდან თავის ჯარებით. აესტრია კი იმ წამსვე თხოულობს ამ ჯარების გაყვანას. მონგრესმა ცხრა თვის ვადა დანიშნა. მონგრესი ურჩევს ოსმალს,—რომ შუშლა და მარნა და- ცალღონ, მაგრამ ოსმალეთი არ თანხ- მდებაო.“

„პეტერბურღის უწყებებში“ იწერე- ბიან ბერლინიდან, რომ, იტალიის გარ- და, ყველა სახელმწიფოების წარმომად- გენლები დათანხმდნენ იმაზედაო, რომ რუშინიან ბესსარაბია დაუთმოს რუსეთ- საო. მხოლოთ ერთს იტალიას უჭირავს ამ შემთხვევაში პატარა რუშინიის მხა- რე; ის ამბობს, ბესსარაბიის ხალხს მა- ინც ჰკითხონ—სურთ იმათ რუსეთთან შეერთება, თუ ისევე რუშინიასთან ერთად ყოფნა ურჩევიანათო.

მავე გაზეთი გვაცნობებს, საფრან- გეთისა და ინგლისის წარმომადგენლებ- მა გამოაცხადეს კონგრესზედაო, რომ რუსეთმა, როგორც ბოლგარიისთვის მებ- რძოლმა ქვეყანამ, უნდა მიიღოს თავის- თავზე ერთი ნაწილი ოსმალეთის სა- ხელმწიფო ვალისაო.

შენის გაზეთს „პრესაში“ მოყვანილია შემდეგი ღებუა 12 იენის სტამბოლი- დამ მიღებული:

„ოსმალეთის მმართველობა არ ეწი- ნაღმდებება სომხის პატრიარხს, რომე- ლიც ცდილობს, კონგრესმა ააძულოს ოსმალეთი, რომ ამ ქვეყნის სომხებსაც ცოტაოდენი მანც თავისუფლება და რეფორმები მიენიჭოს. ბერლინში გაგ- ზავნილი სომხის დელეგატები, პატრიარ- ხის ნერსესის დარიგებით, მხოლოთ ამ რეფორმების შემოღებას ცდილობენ და სიტყვასაც არ იტყვიან იმაზედ რომ ვი- თომც სომხებს ჰსურდეს ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება. სომხის დელეგატები არ შესჩივლებენ კონგრესს აგრეთვე არც თავიანთ სარ წმუნოების შევიწროებაზედ.“

„ამბობენ, რომ თვითონ პონტან- ტინოპოლელი პატრიარქი ნერსეს მწე- შისა და შანის დეპუტატები წინააღმდეგ ბერლინში წასელასაო.“

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილის ტელეგრამიდან სხანს, რომ რუსის ჯარი მომავალ 1879 წლის 1 მარტს უნდა გამოვიდეს მთელი ბოლგარი- იდანაო.

უცხო ამბავები

საზრახველი

სამინისტროს თავ-მჯდომარას დიუფო- რის რჩევით, რესპუბლიკის პრეზიდენტს მაკ-მაჰონს გარდაუწყვეტია, რომ 30 იენის, როდესაც, მმართველობის განკარ- გულებით ნაციონალური დღესასწაულო- ბა იქნება საფრანგეთში, გამოაცხადონ პატიობა ზოგიერთი პირებისა, რომელ- თაც 1870 წლის პარიჟის არეულობაში (ამამუნაში) მიიღეს მონაწილეობა და რომელნიც ამისთვის ახალ ძალედანი- აში იყვნენ გაგზავნილნი. ამბობენ, რომ სულ 800 კაცს აპატიებს მმართველობასაო

— ლიონის აბრეშუპის ფაბრიკების რამდენსამე ათასს მუშას თავი დაუნებე- ბიათ მუშაობისათვის და გამოუცხადები- ათ, რომ სანამ ფაბრიკის პატრონები დღეში ერთ ფრანკს (30 კაბ.) ქირას არ მოგვიმატებენ, აღარ ვიმუშავებთო. ამ გარემოებას მიეწერა აბრეშუპის სა- ქონლის გაძვირება.

ავსტრო-ვენგრია

ვენიდამ რუსულ გაზეთებში იწერებინან, რომ მთელს ავსტრიაში ამ ჟამად დიდი მზადება არის ომისათვისაო; სამხედრო მთავრობის განკარგულებით ავსტრიის სამხრეთ სამხლერებზე 8 დივიზია არის დამზადებულიო, ასე რომ პირველი ბრძანებისა-თანავე შეუძლიანთ სალაშქ- როთ გავიდნენო.

უხილავი ძალები

უხილავი, შეუხები ძალები, მთელთ უჩინნი, ხელთ-უხლები მქრალები, მოძალენი ვით ძლიერნი გამირულად, მიზილამენ—ენახო შენი თვალები.

რომ არ მსურდეს მე შენი მოგონება, არ ზრუნავდეს შენზედ ჩემი გონება, ბუღს არ სურდეს ნახოს შენი თვალები, თავს მადგიან უხილავი ძალები!

სულსა მხდიან, მუხლს ჰსძალობენ— გნახო მე, ძილს არ მგერიან, გულსა მყრიან დღე- ღამე; თავს მადგიან, მიბრძანებენ ძალები: შთუოთა ენახო შენი თვალები!

